წარმოსადგენი დოკუმენტები

1. უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა რეესტრის ასლი;
3. ნოტარიულად დამოწმებული კოოპერატივის საერთო კრების ოქმი, სადაც გამოხატულია თანხმობა პროგრამაში მონაწილეობის, პროგრამით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ;
4. ამონაწერ(ებ)ი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ან/და მისი არანაკლებ 10 მეპაიის (მაღალმთიან დასახლებაში არანაკლებ 5 მეპაიის) საკუთრებაში არსებული ან/და სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტისგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან იჯარით (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს სააგენტოში განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არანაკლებ 5 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს რეგისტრირებული სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში) მიღებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ის, რომელთა ჯამური ფართობი უნდა იყოს არანაკლებ 20 ჰა (მაღალმთიან დასახლებაში არანაკლებ 10 ჰა).
5. შესაბამისი მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გაცემული ცნობა კოოპერატივის ან/და მისი მეპაიეების საკუთრებაში არსებული ან/და სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტისგან/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან იჯარით აღებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობის შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს მიწის ნაკვეთ(ებ)ის საკადასტრო კოდები და ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება“
6. შესაძენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკაზე იურიდიული პირის ან/და ინდივიდუალური მეწარმის მიერ პოტენციური ბენეფიციარისთვის გამოწერილი ინვოისი ან/და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ქართულ ენაზე, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

    - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დასახელება (ერთი სახეობის ტექნიკა არაუმეტეს ერთი ერთეული);
    - ღირებულება (დაფიქსირებული მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში);
    - მახასიათებლები (მოდელი, ც/ძ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
    - გამოშვების წელი;
    - ექსპლუატაციაში არ ყოფნის შესახებ სტატუსი;
    - მწარმოებელი ქვეყანა;
    - დანიშნულება
    - მხარეთა რეკვიზიტები;
    - მიწოდების ვადა;
    - გადახდის პირობები;

შენიშვნა: გადახდის პირობა აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას, რომ სააგენტოს თანადაფინანსების თანხის გადახდა მოხდება ტექნიკის მიწოდების შემდეგ.

7. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საგარანტიო დოკუმენტი (საგარანტიო პირობები უნდა ვრცელდებოდეს განაცხადის წარდგენიდან არანაკლებ 6 თვის ვადით) გაცემული მწარმოებლის ან/და მიმწოდებლის მიერ.
8. ცნობა სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების არარსებობის შესახებ.
9. თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი/ხელშეკრულება ბანკიდან შესაბამისი თანხის (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესასყიდად საჭირო დარჩენილი თანხა, გარდა პროგრამით გათვალისწინებული თანადაფინანსებისა) ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა საფინანსო ინსტიტუტიდან სესხის/ლიზინგის დამტკიცების თაობაზე ან/და თანამონაწილეობის ალტერნატიული წყაროს დამადასტურებელი დოკუმენტი (მიღებული/მისაღები საგრანტო დაფინანსება);
10. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ.
11. საბანკო რეკვიზიტები.
12. სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, სააგენტოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში.